ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01181983579**
თარიღი: **17/07/2018**
ხელმოწერილია ელექტრონულად
პინი: **2379**

ადრესატი: შოთა ლებანიძე
პირადი ნომერი: 01006015537
მისამართი: თბილისი დიღმის მას. I კვ. კორ. 2ბ ბ. 55

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული N19/01181082977-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების ერთი ეგზემპლარი.

გიორგი გეჯაძე

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე)

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო 0160 ჟ. შარტავას, 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 8-19/01121082977-17

"17" 07 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, თამარაშვილის ქუჩა №13ო-ში (საკ. კოდი №01.10.16.004.188) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3895714 02.04.2018წ. (3996770 05.06.2018წ.)

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი – საბურთალო, თამარაშვილის ქუჩა №13ო-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადები: 0.00 ნიშნულზე შემცირებულია შემინვის სიმაღლე, შეცვლილია კარების რაოდენობა, გაბარიტები და ნაწილობრივ ადგილმდებარეობა. ამავე ნიშნულზე შეცვლილია შემინვის ვიზუალი. დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. 4.50 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კარები მინის მოაჯირებით. შეცვლილია რელიეფის ნიშნულები. 0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირები.

ფასადი „1-12": „1-7" მონაკვეთში აივნებზე დამატებით მოწყობილია მოაჯირები. +40.80 ნიშნულზე ერთიანი მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ფრანგული აივნების მოაჯირები.

ფასადი „12-1": 0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის ვიზუალი და გაუქმებულია ლითონის მოაჯირი. „6-5" და „3-2" მონაკვეთებში შეცვლილია ლითონის ცხაურების ვიზუალი. 12-10 მონაკვეთში 0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ხვრელები. ამავე მონაკვეთში კედელი შესალესი და შესაღებია.

ფასადი „ა-გ": „გ-გ" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია ღიობი და შეცვლილია კედლის ფორმა.

ფასადი „გ-ა": „გ-გ" ღერძის გარეთ ერთის ნაცვლად მოწყობილია ორი ვიტრაჟი.

ფასადი ა-ო ღერძებში:

0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის ვიზუალი, სიმაღლე და კარების რაოდენობა. 4.50 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კარები. ამავე ნიშნულზე დამატებით მოწყობილია მინის მოაჯირები და ლითონის ცხაურები. „ზ-თ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია. 7.80 ნიშნულზე „ბ-გ" მონაკვეთში „გ-გ" ღერძთან მდებარე ვიტრაჟს მონაცვლებული აქვს ადგილი. 17.70 ნიშნულზე „ვ-ზ" მონაკვეთში „ზ-ზ" ღერძთან შემცირებულია ვიტრაჟის სიგანე და გაზრდილია აივნის სიგრძე. 7.80 და 40.80 ნიშნულებს შორის გაზრდილია „ა-ა" ღერძზე მდებარე კედლის სიგანე. 40.80 ნიშნულზე „ბ-გ" მონაკვეთში „ბ-ბ" ღერძზე ნაწილობრივ გაუქმებულია მოაჯირი. 40.80 და 44.10 ნიშნულებზე შეცვლილია აივნის მოაჯირის მასალა. 63.90-დან 73.80 ნიშნულის ჩათვლით „ლ-მ" მონაკვეთში გაუქმებულია მოაჯირები. 47.40 და 50.70 ნიშნულებზე „ლ-ლ" ღერძთან გაუქმებულია მოაჯირები. ამავე ნიშნულებზე „ზ-თ" მონაკვეთში „თ-თ" ღერძთან გაზრდილია აივნების სიგრძე.

ფასადი ო-ა ღერძებში: 0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების ვიზუალი, ნაწილობრივ გაბარიტები და ადგილმდებარეობა. ასევე შეცვლილია კარ-ფანჯრების და კარების ვიზუალი და ნაწილობრივ სიმაღლე. „ნ-მ", „კ-ი", „ვ-ე" და „გ-ბ" მონაკვეთებში შეცვლილია ლითონის ცხაურების რაოდენობა. 4.50 ნიშნულზე „დ-ა" მონაკვეთში

შეცვლილია ვიტრაჟების ვიზუალი, „დ-გ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მოაჯირი.

გეგმების მიხედვით:

-3.30 ნიშნულზე შეცვლილია კოლონების და პილონების რაოდენობა. დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები. „8-9" მონაკვეთში შემცირებულია პანდუსის სიგანე. „ა-ა" ღერძის გარეთ „1-6" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ადგილმდებარეობა, რის ხარჯზეც გაზრდილია ავტოსადგომის ფართი. შეცვლილია რიგელების რაოდენობა. შეცვლილია კიბის უჯრედისთვის განკუთვნილი ფართები. მონოლითური, ბლოკის და აგურის კედლები ერთი ფაქტურით არის ნაჩვენები პროექტში. ამავე ნიშნულებზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირები და ცხაურები. შეცვლილია ზამთრის ბაღების გადახურვის ვიზუალი და კონსტრუქცია. ნაწილობრივ შეცვლილია ზამთრის ბაღების გაბარიტები, სიმაღლე და ადგილმდებარეობა. ასევე შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების ვიზუალი და სიმაღლე. შენობაში ნაწილობრივ დასასრულებელია კიბეების მოწყობა.

0.00 ნიშნულზე შენობის პერიმეტრზე მდებარე ბაქნების, საფეხურების და პანდუსების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. „10-12" მონაკვეთში „ო-ო" ღერძის გარეთ გაზრდილია ბაქნის სიგანე და დამატებით მოწყობილია საფეხურები.

გეგმა 1-7 ღერძებში:

0.00 და 4.50 ნიშნულებზე „2-7" მონაკვეთში „ე-ე" ღერძებთან მდებარე ვიტრაჟს მონაცვლებული აქცს ადგილი, რის ხარჯზეც გაზრდილია შიდა ფართი. 0.00 ნიშნულზე „გ-დ" მონაკვეთში „დ-დ" ღერძთან აუზის მიმდებარედ გაზრდილია ბაქნის სიგანე. „გ-დ" მონაკვეთში „გ-გ" ღერძთან დამატებით მოწყობილია რიგელი. „1-2" მონაკვეთში „დ-დ" ღერძზე გაზრდილია კედლის სიგრძე. „1-7" ღერძების მიმდებარედ „გ-ე" მონაკვეთში გაუქმებულია რიგელები.

4.50 ნიშნულზე: „3-4" მონაკვეთში შემცირებულია კიბისთვის განკუთვნილი ღიობის გაბარიტები. „გ-ე" მონაკვეთში შემცირებულია სართულის სიმაღლე.

7.80 ნიშნულზე გაზრდილია „გ-ე" მონაკვეთში მდებარე გადახურვის ფილის სიგანე. დამატებით მოწყობილია ლითონის ცხაურები.

17.70 ნიშნულზე: „ბ-ზ" მონაკვეთში გაზრდილია აივნის სიგრძე.

37.50 ნიშნულზე „1-1" ღერძთან შეცვლილია კიბის ფორმა. „7-7" ღერძთან შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა.

გეგმა 10-12 ღერძებში:

შეცვლილია შენობების ურთიერთმდებარეობა.

-3.30 და 0.00 ნიშნულებს შორის „კ-კ" და „მ-მ" ღერძებთან გაზრდილია კიბის საფეხურების რაოდენობა.

0.00 ნიშნულზე გაზრდილია ავტოსადგომში ჩასასვლელი პანდუსისთვის განკუთვნილი გადახურვის გაბარიტები და სიმაღლე.

4.50 ნიშნულზე „11-12" მონაკვეთში შეცვლილია კიბისთვის განკუთვნილი ღიობის ადგილმდებარეობა და გაბარიტები. 44.10 ნიშნულზე „თ-თ" ღერძთან გაზრდილია აივნის სიგანე.

ტერიტორია: შეცვლილია დაბალი მონოლითური კედლების ფორმა და ნაწილობრივ ადგილმდებარეობა. ტერიტორიის კეთილწმოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს. დაბალი მონოლითური კედლები ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს. შეცვლილია სპორტული მოედნის გაბარიტები და ფორმა, ასევე ტერიტორიის კეთილმოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს. დასასრულებელია სპორტული მოედნის და ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „დომუსი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, თამარაშვილის ქუჩა №13ო-ში (საკ. კოდი №01.10.16.004.188) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01181082977-17 18.04.2018წ. განცხადება.
№წ-19/01181082977-17 23.04.2018წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე